



Tax Newsletter

October 2024

Treating Multiple Persons as a Single VAT-Taxable Entity

An amendment has been made to the instruction approved by the Georgian Minister of Finance's order №996, dated 31 December 2010, on "The Administration of Taxes," adding a new article 46¹: "Treating Multiple Persons Established in Georgia as a Single VAT-Taxable Entity."

The addition of this article is due to amendments made to Paragraph 9 of Article 73 of the Tax Code, which grants the tax authority the right to treat any multiple persons established in Georgia as a single taxable entity to prevent VAT evasion, despite their formal/legal independence, if the following conditions are met:

- Major decisions related to their business activities/management are made by the same person;
- Their place of business is identical;
- The nature and substance of their activities are identical;
- None of the group members are registered as VAT payers.

The Minister of Finance's order defines cases and procedures under which multiple persons may be considered as a single taxable entity, as well as cases in which the nature and substance of their activities are deemed identical.

According to the new article 46¹, it is considered that major decisions related to the activities/management of the persons are made by the same person if that person makes decisions on at least two of the following issues: selection of contractors and conclusion of transactions with them; determination of the price of goods/services; selection of employees and determination of terms in employment contracts with them; appointment and dismissal of a director; distribution of dividends; assumption of obligations; securing obligations, etc.

As per the amendment, each member of the group is deemed a VAT payer from the moment a taxable transaction is carried out (including this transaction) that causes the cumulative value of taxable transactions among the group members to exceed 100,000 GEL.

It should be noted that in the case of treating a group of persons as a single taxable entity, the cumulative value of transactions performed by all members of the group is considered for the mandatory VAT registration of each group member, excluding transactions of goods/services performed among the group members themselves.

The amendment came into effect on 16 October 2024.

Replacement of the Leasing Provider

A change has been made to order N7536 of 17 March 2021, issued by the Head of the Revenue Service, which approved the methodological guidelines on value-added tax (VAT). Specifically, example №7 was added to section two of appendix №9 of the order.

Case Facts:

In July, leasing company A entered into a leasing agreement to lease a truck with an option to buy to taxable person B for a period of one year. The total transaction value amounted to 18,000 GEL, and the monthly leasing payment was 1,500 GEL (consisting of 1,200 GEL as part of the asset's value and 300 GEL as interest).

After six months, when B had an outstanding balance of 9,000 GEL payable to A, leasing company A was replaced by leasing company X in the leasing agreement. Specifically, A transferred all rights and obligations arising from the leasing agreement (including ownership rights to the truck) to X for 5,000 GEL.

Evaluation:

The Revenue Service's assessment is that the above transaction does not constitute the supply of goods for VAT purposes. A's transfer of ownership of the truck to X is based on the replacement of the leasing provider in the contract, which represents an assignment of rights (cession). According to Paragraph one of Article 171 of the Tax Code of Georgia, this is exempt from VAT without the right of deduction, as it is considered a financial transaction.

Transfer of Ownership of All Assets of a Foreign Enterprise Registered in a Low-Tax Jurisdiction to a Georgian Enterprise

Chapter VII⁷ has been added to the instruction approved by the Georgian Minister of Finance's order №996, dated 31 December 2010, on "The Administration of Taxes". This amendment defines specific criteria for the benefit established by Article 309, Paragraph 146 of the Tax Code. It also provides information on the required documents and certain procedural issues.

According to the amendment, if all assets of a foreign enterprise registered in a low-tax jurisdiction are transferred to a Georgian enterprise, the import of goods into Georgia is exempt from import tax if the following conditions are met:

- The transfer and import of all assets owned by the foreign enterprise registered in a low-tax jurisdiction to the Georgian enterprise is completed before 1 January 2028.

- The same individual or group of individuals holds 100 percent ownership in both the foreign enterprise registered in the low-tax jurisdiction and the Georgian enterprise.
- The individual (or group) holds 100 percent ownership in the foreign enterprise as of 5 June 2024.
- The individual (or group) holds 100 percent ownership in the Georgian enterprise at the moment of transferring and importing the assets to the Georgian enterprise.

According to the same order, ownership by an individual (or group) in a foreign enterprise registered in a low-tax jurisdiction is considered to include both direct and indirect ownership (including beneficial ownership through a trust or nominee ownership). Additionally, for the purpose of enjoying the benefit, the transfer of ownership of all assets (including shares) by a foreign enterprise registered in a low-tax jurisdiction to a Georgian enterprise is considered to include:

- The gratuitous transfer of ownership of all assets (including shares) by the foreign enterprise registered in the low-tax jurisdiction to the Georgian enterprise;
- The transfer of ownership of all assets (including shares) by the foreign enterprise registered in the low-tax jurisdiction to the individual or group of individuals holding 100 percent ownership in the foreign enterprise (including gratuitous transfer, dividend distribution, or any other form), and the subsequent gratuitous transfer or capital contribution of all received assets to the Georgian enterprise by this same person.

According to the order, “all assets” refers to all assets/goods owned by the foreign enterprise registered in a low-tax jurisdiction as of 5 June 2024, which remain in its ownership at the time of the transfer.

This amendment came into effect on 2 October 2024.

This publication provides only general information, and it is not recommended to make decisions on specific cases based solely on this document. It is important that you consult a professional before making any decisions. Andersen in Georgia disclaims any liability for any loss resulting from actions taken or not taken by individuals relying on the information in this publication or making decisions based on it. In case you would like to discuss the issues addressed in this publication with relation to the specific circumstances relevant for you, please contact Andersen in Georgia.

George Svanadze, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)

Managing Partner | Attorney-at-Law

george.svanadze@ge.andersen.com

Lasha Adamashvili, LLB, LL.M

Head of Tax and Advisory

lasha.adamashvili@ge.andersen.com

Giorgi Khanjaliashvili, LLB, LL.M

Tax Manager – Tax and Advisory

giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com



საგადასახადო სიახლეები ოქტომბერი 2024

რამდენიმე პირის დღგ-ით დასაბეგრ ერთ პირად განხილვა

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ინსტრუქციას დაემატა 46¹ მუხლი „საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული რამდენიმე პირის დღგ-ით დასაბეგრ ერთ პირად განხილვა“.

ახალი მუხლის დამატება განპირობებულია საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილში განხორციელებული ცვლილებით, რომლის თანახმადაც საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, დღგ-ის გადახდისგან თავის არიდების აღკვეთის მიზნისთვის, ერთ დასაბეგრ პირად განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ნებისმიერი რამდენიმე პირი მათი ფორმალური / იურიდიული დამოუკიდებლობის მიუხედავად, თუ სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:

- მათ საქმიანობასთან/მართვასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს ერთი და იგივე პირი;
- მათი საქმიანობის ადგილი იდენტურია;
- მათი საქმიანობის სახე და შინაარსი იდენტურია;
- ჯგუფის მონაწილე რომელიმე წევრი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად.

ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა შემთხვევები და წესები, რომელთა მიხედვით, რამდენიმე პირი შესაძლებელია განხილული იქნას ერთ დასაბეგრ პირად, ასევე განისაზღვრა შემთხვევები, რა დროსაც საქმიანობის სახე და შინაარსი მიიჩნევა იდენტურად.

ახალი 46¹ მუხლის თანახმად, ითვლება, რომ პირთა საქმიანობასთან/მართვასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს ერთი და იგივე პირი, თუ ერთი და იმავე პირის მიერ მიიღება გადაწყვეტილება

ჩამოთვლილ საკითხთაგან სულ მცირე ორის შესახებ. ჩამოთვლილი საკითხები მათ შორის მოიცავს შემდეგს: კონტრაქტორების შერჩევა და მათთან გარიგებების დადება; საქონლის/მომსახურების ფასის განსაზღვრა; დასაქმებულ პირთა შერჩევა და მათთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა; ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; დივიდენდის განაწილება; ვალდებულებათა აღება; ვალდებულებათა უზრუნველყოფა და სხვა.

ცვლილების მიხედვით, პირთა ჯგუფის თითოეული წევრი დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც, ჯგუფის შემადგენლობაში შემავალ პირთა დასაბეგრი ოპერაციების საერთო (ჯამური) თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

აღსანიშნავია, რომ პირთა ჯგუფის ერთ დასაბეგრ პირად განხილვის შემთხვევაში, პირთა ჯგუფის თითოეული წევრის დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით, დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება ჯგუფის ყველა წევრის მიერ განხორციელებული საქონლის მიწოდების / მომსახურების გაწევის ოპერაციების ჯამური თანხა, გარდა ამავე ჯგუფის წევრებს შორის განხორციელებული საქონლის მიწოდების / მომსახურების გაწევის ოპერაციების თანხებისა.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 16 ოქტომბრიდან

ლიზინგის საგნის გამცემი მხარის ჩანაცვლება

დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 17 მარტის N7536 ბრძანებაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, ბრძანების N9 დანართის მეორე ნაწილს დაემატა მაგალითი N7.

ფაქტობრივი გარემოებები:

ივლისის თვეში დადებული ლიზინგის ხელშეკრულებით სალიზინგო კომპანიამ A-მ სატვირთო ავტომობილი ერთ წლიანი ლიზინგით და გამოსყიდვის პირობით გადასცა დასაბეგრ პირ B-ს. გარიგების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 18 000 ლარი, შესაბამისად ყოველთვიურმა სალიზინგო გადასახადმა შეადგინა 1500 ლარი (აქტივის ღირებულების ნაწილი 1200 ლარი და სარგებლის ნაწილი 300 ლარი).

6 თვის გასვლის შემდგომ, როდესაც B-ს გადასახდელი ვადამოუსვლელი დავალიანება A-ს მიმართ შეადგენდა 9000 ლარს, ლიზინგის ხელშეკრულებაში სალიზინგო კომპანია A-ს ჩაენაცვლა სალიზინგო კომპანია X, კერძოდ A-მ ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ყველა უფლება და ვალდებულება (მათ შორის სატვირთო ავტომობილზე საკუთრების უფლება) გადასცა X-ს 5000 ლარად.

შეფასება:

შემოსავლების სამსახურის შეფასებით, ზემოაღნიშნული ტრანზაქცია არ ჩაითვლება საქონლის მიწოდებად დღგ-ის მიზნებისათვის. A-ს მიერ X-ზე სატვირთო ავტომობილის საკუთრებაში გადაცემა განპირობებულია ხელშეკრულებაში ლიზინგის გამცემი მხარის ჩანაცვლებით, რაც წარმოადგენს მოთხოვნის დათმობის ოპერაციას (ცესიას) და სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე, როგორც ფინანსური ოპერაცია.

შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემა

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას დაემატა კარი VII⁷. აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრა გარკვეული კრიტერიუმები საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით დადგენილი შელავათით სარგებლობისათვის. ასევე გაიწერა წარმოსადგენი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია და გარკვეული პროცედურული საკითხები.

ცვლილების თანახმად, შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის შემთხვევაში საქონლის საქართველოში შემოტანა თავისუფლდება იმპორტის გადასახდელისაგან, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს საკუთრებაში არსებული ყველა აქტივის საქართველოს საწარმოსათვის გადაცემა და იმპორტი განხორციელებულია 2028 წლის 1 იანვრამდე;
- შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის 100 პროცენტს ერთი და იგივე ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი ფლობს;
- ფიზიკური პირი (პირთა ჯგუფი) შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოში წილის 100 პროცენტს ფლობს 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით;
- ფიზიკური პირი (პირთა ჯგუფი) საქართველოს საწარმოში წილის 100 პროცენტს ფლობს აქტივის საქართველოს საწარმოსათვის გადაცემის და იმპორტის მომენტისთვის.

ამავე ბრძანების თანახმად, ფიზიკური პირის (პირთა ჯგუფის) მიერ შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს წილის ფლობად განიხილება ფიზიკური პირის (პირთა ჯგუფის) მიერ წილის როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი (მათ შორის, მინდობილი საკუთრების ან ტრასტის ბენეფიციარის ფორმით) ფლობა.

ამასთან, შეღავათით სარგებლობის მიზნებისათვის შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოს მიერ საქართველოს საწარმოსთვის ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე) საკუთრების უფლების გადაცემად განიხილება:

- შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს მიერ საქართველოს საწარმოსთვის ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე) საკუთრების უფლების უსასყიდლოდ გადაცემა;
- შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს მიერ ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე) საკუთრების უფლების ფიზიკური პირისთვის ან პირთა ჯგუფისთვის (რომელიც ფლობს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს წილის 100 პროცენტს) გადაცემა (მათ შორის, უსასყიდლოდ, დივიდენდის განაწილების ან სხვა ფორმით) და ამავე პირის მიერ მიღებული ყველა აქტივის საქართველოს საწარმოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა ან/და საქართველოს საწარმოს კაპიტალში შეტანა.

ბრძანების თანახმად, ყველა აქტივი გულისხმობს 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს საკუთრებაში არსებულ იმ ყველა აქტივს/საქონელს, რომელიც მას საკუთრებაში გააჩნია მათი გადაცემის მომენტისათვის.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 2 ოქტომბრიდან.

პუბლიკაციაში გათვალისწინებული ინფორმაციის და მხოლოდ მასზე დაყრდნობით კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ არის რეკომენდირებული. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია მიიღოთ პროფესიონალის კონსულტაცია. ანდერსენ ჯორჯია არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია იმ ქმედებებით, რომლებიც განხორციელდა ან არ განხორციელდა ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუ გსურთ ამ საკითხების განხილვა თქვენთვის რელევანტური კონკრეტული გარემოების კონტექსტში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ანდერსენ ჯორჯიას.

გიორგი სვანაძე, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)

მმართველი პარტნიორი | ადვოკატი

george.svanadze@ge.andersen.com

ლაშა ადამაშვილი, LLB, LL.M

საგადასახადო და საკონსულტაციო პრაქტიკის ხელმძღვანელი

lasha.adamashvili@ge.andersen.com

გიორგი ხანჯალიაშვილი, LLB, LL.M

საგადასახადო მენეჯერი | ადვოკატი

giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com